პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!




ფასი 5000 მანეთი.

გაზეთი გამოდის ყოველდღიურათ, მასალები მიიღება რედაქციაში 9—3 საათ ყოველ დღე
რედაქც. მისამართი: სახ. სამხ. კ-ს შენ. პირ. ს რთ. რუსთაველის პრ. № 31

კვირა 7 იანვარი 1923 წ.
წელიწადი მე-[illegible]

№ 186 ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების ყოველდღიური ორგანო. № 186

**პოლიტ-განყოფილება ამით აცნობებს ქართ. დივიზიის პოლიტშემადგენლობას, რომ ცირკულიარი პოლიტ-მუშაკთა დემობილიზაციის შესახებ დაბეჭდილი წინანდელ № 185-ში გაშვებულ იქნა რედაქციის წინდაუხედველობით, არავითარი ძალა არა აქვს და არც არის სავალდებულო ასრულებისათვის.**

# შობის გამო

მემამულე, მღვდელი, ბურჟუა და მათი დამცველი გენერალი, აი ის ოთხეული, რომელიც საუკუნოების განმავლობაში მაჯლაჯუნასავით აწვენ თავს მილიონიან მშრომელ მასას და არ აძლევდნენ საშვალებას ამოსუნთქვისათვის;

აი ის ოთხეული, რომლებიც ხარბათ ძღებოდნენ მშრომელთა სისხლით, და თვით კი მარად ეძლეოდნენ განცხრომას და ფუფუნებას.

ეს ოთხეული ერთად იყვნენ, ერთი პოზიციები ეჭირათ და ყველას ერთად მიჰქონდათ იერიშები მშრომელთა წინააღმდეგ, თუ ეს უკანასკნელი მათ გაურჩებას გაუბედავდა.

ყველაზე მეტი ბასრი და მოხერხებული იარაღი მშრომელთა დასამონავებლად იყო რელიგია და მისი მქადაგებელი ე. წ. სასულიერო წოდება—მღვდლები.

ეს უკანასკნელნი მთელ თავისი ძალღონეს ხმარობდნენ, რათა თავისი რელიგიური ქადაგებით, და ებნელებით გონება მშრომელი ხალხისა და ისინი გაეხადათ საწველ ფურათ ექსპლოატატორებისათვის.

„მოთმინებითა შენითა მოიპოვე პური შენიო“.

„დაემორჩილე შენს ბატონებს, აიტანე მათ მიერ დადებული მძიმე უღელი, იყავ მონა და მორჩილი მემამულე ბურჟუებისა, თუ გინდა ცხონდე საიქიოსო“ „მტერმა, რომ ერთ ყბაში შემოგარტყას, მეორე ყბა მიუშვირე და ნუ გაუწევ ურჩობას თუ გინდა მოხვდე სამოთხეშიო“ და სხვა ასეთი ბევრი, რომელითაც ყურს უჭედავდნენ ისედაც დაბეჩავებულ ხალხს და ამნაირად აადვილებდნენ მათზე ბატონობის გამტკიცებას ყველა მუქთა ხორა და პარაზიტებისას.

თვით კი ამ, „სამღვთო“ სიტყვების მქადაგებელნი რას ჩადიოდნენ?

ხალხის უმოწყალოდ გაძვალტყავება „დრამითა“ თუ სხვა ათასგვარ გადასახადებით, გარყვნილება და განცხრომით ცხოვრება, აი მათი ხვედრი, მის მიერ გონება დაჩლუნგებულ ხალხის ხარჯზე.

ეს კიდევ ცოტაა.

ვინც იცნობს ისტორიას და საერთოდ ქრისტიანულ მოძრაობას, მისთვის ცხადია, თუ რა დიდი, დიდი ცოდვა მიუძღვისთ მათ კაცობრიობის წინაშე, რომელთ ეწირებოდა მილიონობით სიცოცხლე ახალგაზრდებისა და სხვა.

მაგრამ ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვებამ სასიკვდილო ლახვარი ჩასცა, როგორც ბურჟუა მემამულეთ, ისე მის დამცველ სამღვდელოებასაც. არ შეიძლებოდა, რომ იმ ყოვლად ყალბ ლეგენდებზე აგებულ სარწმუნოებას, რომელიც მთავარი დასაყრდენი ყავარჯენი იყო კონტრ-რევოლიუციისთვის, მიცემოდა საბჭოთა ხელისუფლების დროს გასაქანი და აი, კომპარტიამაც დამკვიდრებულ საკითხად გამოაცხადა ანტირელიგიური აგიტაციის გაწევა მშრომელ მასებში. საქართველოშიც ფეხს იკიდებს ასეთი აგიტაცია კომპარტიის მეთაურობით, რომლის გამტარებლათ აქტიურათ ხვალიდან გამოდიან კომკავშირის წევრები.

გარდა ამისა საბჭოთა რესპუბლიკებში. არიან მრავალი სახედრო ტაძრები, რომლებიც უნდა გადაკეთდენ კლუბებათ და სხვა კულტურულ დაწესებულებებათ, სადაც, როგორც წითელი არმია, ისე ახალგაზრდობაც გონება—დამჩლუნგველ რელიგიის მაგიერ დაეწაფებიან სწავლა-განათლებას და განვითარებას.

ხვალ მთელი ტფილისი დაინახავს კომკავშირის წევრთა ფოლადის რაზმებს, რომლებიც თავის დემონსტრაციებით, დაუმტკიცებენ ყველას რომ ბოლო ეღება ყოველ-გვარ რელიგიურ დღესასწაულებს და ზნეჩვეულებებს და მის მაგივრად ფეხს იკიდებს წმიდა მოძღვრება კომუნიზმისა, რომელიც არის გამქარწყლებელი ყოველივე ტანჯვა მონობის.

გაუმარჯოს კომკავშირის შობას.

ძირს გონება დამჩლუნგებელი რელიგია და სამღვდელოება.

# იერიშით ლოთობის წინააღმდეგ

ჩვენი არმიის რიგებში სამწუხაროდ ხშირია ის მოვლენები, რომელთაც ადგილი არ უნდა ჰქონდეს და საბოლოოდ უნდა განდევნილიყო ჩვენი წითელი ჯარის ნაწილებიდან.

**ჩვენ ვლაპარაკობთ ლოთობაზე.**

მართალი არის, რომ ამიერ კავკასიის პირობების ფარგლებში ასეთი მოვლენა სრულიად ბუნებრივად მიაჩნიათ ზოგიერთებს, მაგრამ ასეთი შეხედულება არ არის სწორი.

საბჭოთა ხელისუფლება მთელი თავისი სისასტიკით აწარმოებს მკაცრ ბრძოლას ლოთობის წინააღმდეგ.

წითელი არმია ის ორგანიზმი უნდა იყოს მეტად ჯანსაღი და ამტანი, რადგან სრულიად არა გვაქვს შესაძლებლობა ვიფიქროთ, რომ არ მოგვიხდება ახალი შეტაკებები მსოფლიო კაპიტალის მტაცებლობის და მუხანათობის წინააღმდეგ, ხოლო ლოთობა კი არის ის ბოროტება, რომელიც საშინლად ხრწნის და არღვევს სამხედრო ორგანიზმის სიძლიერეს.

ამიტომ ამ ბოროტების წინააღმდეგ ჩვენ უნდა ვაწარმოოთ შეუბრალებელი და დაუზოგავი ბრძოლა. ინიციატივა ამ ბრძოლის წარმოებაში ეკუთვნით კომუჯრედებს. ხანდისხან პირდაპირ დაუჯერებელია, ის გულგრილობა, რომელსაც ჩვენი პარტიული ამხანაგები იჩენენ მათ ნაწილებში, თანდათან განვითარებაში წასულ ლოთობის წინააღმდეგ.

თითქოს ეს ასე უნდა ხდებოდეს და იყოს, არც ერთი პროტესტი, არც ერთი სიტყვა აღშფოთებისა, ხოლო მათი ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლაზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლე. დრო ამოსწურავს ასეთ უყურადღებობას.

პირველად ყოვლისა საჭირო არის, რომ თითეულმა კომუჯრედმა გასწმინდოს თავის რიგები, ლოთებისაგან, ძირბუდიანათ მოსპოს ლოთობა, ხოლო შემდეგ კი გადატანილ უნდა იქნეს ეს ფრონტი უფ-შემადგენლობის შორის. საჭიროა არის აგრეთვე ენერგიული და მტკიცე ბრძოლა ლოთობის წინაღმდეგ წ. არმიელთა შორისაც.

კომუნისტებო და პარტმომუშავენო! მობილიზაცია უყავით თქვენს ძალებს ამ სიბოროტის წინააღმდეგ ბრძოლის საწარმოებლად

იერიშით, ლოთობის წინააღმდეგ.

# გაზ. „წითელ-არმიელის“ კვირეული

გაზ. „წითელ არმიელის“ ფონდის გასაძლიერებლათ შემოსწირეს.

1. პროფკავშირთა საბჭომ—25.000.000 მან. (ოცდა ხუთი მილიონი მანეთი.)
2. ავტო-გარაჟმა 600.000 მან. (ექვსასი ათასი მანეთი.)
3. დივიზიის ჰოსპიტალის თანამშრომლებმა და წითელ არმიელებმა 1.215.000 მან. (ერთი მილიონი ორასთუთხმეტი ათასი მანეთი.)
4. I-ც. ა. კ. სახელობის ლეგიონმა ჯამაგირებიდან პროცენტების გადადებით და მოწყობილ საღამოდან შემოსული 30.830.000 მანეთი. (ოცდა ათი მილიონი რვაას ოცდა ათი ათასი მანეთი).

# რაზედ სწერენ გაზეთში?

ყველა გაზეთებისათვის მოვრიგე თემა არჩევნებია. ყველანი მოუწოდებენ ამომრჩევლებს აირჩიონ ღირსეული ხალხი და არ მისცენ საშუალება შავრაზმელებს და პროვოკატორებს განგებ შეიჭრან (წყლის ასამღვრევად) ხელისუფლების ორგანოში.

კავკ. ცალკე არმიის პოლიტსამმართველოს ორგანო „კრასნი ვოინიც“ ეხება არჩევნების საკითხს და აღნიშნავს, რომ საბჭოთა რესპუბლიკები სულ უკეთეს და უკეთეს მდგომარეობაში ვარდებიან. ახლად შეკრულმა ძმურმა კავშირმა საბჭოთა ქვეყნისა. კიდევ უფრო გააძლიერა ჩვენი, როგორც საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობა, ისე მორალურათ აღამაღლა ჩვენი ფასი საერთაშორისო პროლეტარიატის თვალში.

„დაე, კრთოდეს და კანკალებდეს ბურჟუაზია, რადგანაც პროლეტარიატის უმთავრესი ძალები გაერთიანებულია და ყოველ წუთობით ძლიერდება

შემდეგ გაზეთი კითხულობს გვყავს კი თავდადებული მუშაკები? და თითონვე უპასუხებს რომ კი და ესენი არიან კომუნისტები და ისეთი უპარტიონი, რომლებიც კომუნისტებთან ერთად იყოფდნენ ჭირსა და ლხინს. „მარტოკა ისინი გაგზავნეთ საბჭოში მხოლოდ იმათ შეუძლიათ თავდავიწყებით ემსახურონ მშრომელი ხალხის ინტერესებსო“ ათავებს გაზეთი.




**— 6 და 7 იანვარს ტფილისში კომუნისტური ახალგაზრდობის ორგანიზაცია მოაწყობს ანტი-რელიგიოზურ კარნავალებს.**

**— ამერიკის მუშათა პარტიის მეორე ყრილობამ გაუგზავნა, კომინტერნს მისალოცი დეპეშა. დეპეშა თავდება სიტყვებით: „გაუმარჯოს კომუნიზმს და ინტერნაციონალს.**

**— შრომის ბირჟის უცხო ელემენტებისაგან განტვირთვისათვის პეტროგრადის აღმასკომმა დაადგინა მოახდინოს უმუშევართა პერეერეგისტრაცია.**

**— წარსული წლის განმავლობაში პეტროგრადის მცხოვრებთა რაოდენობა ავიდა 850,000 სულამდე, 1921 წ. კი იყო 730.000-დე.**

**— გაზეთ „პრავდაში“ მოთავსებულია წერილი ამხ. ლენინის რომელშიაც მოყვანილია ცნობები, რომელნიც ახასიათებენ საბჭოთა რუსეთის კულტურულ დონეს.**

**— საფრანგეთის დელეგაციამ ლოზანაში მიიღო ინსტრუქცია იმოქმედოს ინგლისთან სრული შეთანხმებით.**

**— ინგლისში უმუშევრობა თანდათან ძლიერდება.**

**— იტალიაში აძლიერებენ რეპრესიებს.**

# პარიზის თათბირი.

მას შემდეგ, როდესაც პუანკარემ აცნობა თათბირს, რომ გერმანიის სტატს-სეკრეტარმა ბერგმანმა მიმართა მას განცხადებით—მოუსმინონ კონფერენციის გახსნამდე, მოსმენილ იქნა საფრანგეთის პროექტი, რის შემდეგ ბონარ ლოუმ წარმოადგინა ინგლისის და დელა-ტორეტას იტალიის პროექტი. სხდომა ორნახევარი საათი გაგრძელდა, რის შემდეგ საკითხის განხილვა გადადებულ იქნა 4 იანვრის სამ საათამდე იმ მიზნით რომ ცალკე დელეგაციებს განეხილათ წარდგენილი პროექტები.

— საფრანგეთის წარმომადგენლების მიერ ინგლისის გეგმის განხილვის დროს, პუანკარემ ხაზგასმით აღნიშნა. რომ ინგლისი საკონტრიბუციო კომისიის ნაცვლად რაღაც ახალ კომიტეტის დაარსების წინადადებას იძლევა და ამ კომიტეტის თავმჯდომარედ განზრახვა აქვს დანიშნოს გერმანიის ფინანსთა მინისტრი. საფრანგეთის ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა, რომ ინგლისის პროექტი სასოწარკვეთილებაში აგდებს საფრანგეთს.

**პარიზის თათბირი.**

— 1 იანვარს სხდომის დასაწყისში იტალიის დელეგატმა დელლა ტორარტმა გაილაშქრა ინგლისის გეგმის წინააღმდეგ. მან აღნიშნა, რომ ეს გეგმა ეწინააღმდეგება იტალიის ინტერესებს და ხაზი გაუსვა, რომ თუ იტალია, რომელიც არაფერს არ იღებს არც ავსტრიიდან და არც ჰუნგრეთიდან, არაფერს არ მიიღებს აგრეთვე გერმანიისაგანაც, ის საბოლოოდ მოტყუებული იქნება.

ამის შემდეგ პუანკარემ ბონარ ლოუს მოხსენებას გაუკეთა რამოდენიმე შენიშვნა. ბრიტანიის დელეგაციამ თათბირს გადასცა ვრცელი ნოტა, რომელიც დელეგაციებმა სხდომის შეწყვეტის დროს განიხილეს.

— რადგან ბონარ ლოუმ უსაყვედურა საფრანგეთის მთავრობას, რომ საფრანგეთის მიერ წამოყენებულ გეგმაში არ არის განსაზღვრული გერმანიის ვალების საერთო ჯამი, საფრანგეთის მთავრობამ შენიშნა, რომ გერმანიის ვალების საერთო ჯამის განსაზღვრა საკონსტიტუციო კომისიის კომპეტენციას შეადგენს. საფრანგეთის მთავრობამ მიუთითა მხოლოდ იმაზე, რომ ის მზათ არის გერმანიის გადასახადების ნაწილი გამოიყენოს სამხედრო ვალების გადახდისათვის.

# გერმანია და ანტანტა.

**სარეპარაციო საკითხი.**

— ინგლისის მიერ შემუშავებულმა სარეპარაციო პროექტმა პარიზში დიდი აურ-ზაური გამოიწვია. საფრანგეთის და ბელგიის მთავრობის წრეებს იმედი გაუცრუვდათ.

პუანკარემ წარადგინა თავისი სარეპარაციო გეგმა, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: გერმანიას ეძლევა ორი წლის ვადა გადასახადების შესატანად. იმ პირობით თუ დარჩება სარეპარაციო ვალის ძველი რაოდენობა, თუ გერმანიის სახელმწიფო ტყეებზე დაწესებული იქნება მოკავშირეთა კონტროლი და ბაჟები. იმ შემთხვევაში თუ გერმანია უარს იტყვის ასეთ კონტროლზე, მოკავშირეები დაიკავებენ ესსენს და რურის ოლქის ნაწილს.

პუანკარემ განაცხადა, რომ საფრანგეთი არ გადაუხდის ინგლისს თავის ვალებს, სანამ გერმანია არ აუნაზღაურებს მას ხარჯებს განადგურებულ ოლქების აღსადგენად.

# ჩვენს წითელ ჯარში

## ენერგიული მუშაობისა-თვის გულწრფელი მადლობა

ქართული დივიზიის ავტონაწილის ხელით ნხურვალე მადლობას უძღვნი ამავე ნაწილის სამკომს ამხ. გრ. დავითოვს მისი, ხსენებულ ნაწილში თავდადებული, პატიოსანი და ფრიად ნაყოფიერი მუშაობისათვის.

ყველასათვის აშკარაა ის თუ, როგორი მძიმე პირობები არსებობს მუშაობის ყველა ტეხნიკურ ნაწილებში და განსაკუთრებით კი ავტონაწილში, სადაც საჭიროა თვითეული წითელი არმიელისაგან თავისი საქმის ღრმა ცოდნა და ენერგიული, ფიზიკური მუშაობის შესრულება. ხოლო იმისათვის კი, რომ მუშაობა იქნეს უფრო ნაყოფიერი, უნდა ყოველ მხრივად დაკმაყოფილდეს თითეული წ. არმიელი მისი ცხოვრების მოთხოვნილების აუცილებელი საგნებით და სხვა. აი აქ ამხ. სამკომი გრ. დავითოვმა არ დაიშურა თავისი ენერგია ხსენებულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, რათა არ შეფერხებულიყო მუშათა და გლეხთა ხელისუფლების ტრანსპორტის საქმე.

წასული წლის 30 დეკემბრიდან ჩვენი საყვარელი ამხ. სამკომი გრ. დავითოვი გადაიყვანეს სხვა ნაწილში, სადაც ალბად ღრმა პატივისცემით და მადლობით მოეპყრობიან მის თავდადებულ და ენერგიულ მუშაობას.

სამკორი **ს. მესხი.**

## მე ცოცხლივ საქმის გამოძიებას.

1922 წ. 15 ივლისს მე გამიწვიეს წითელ ჯარში, როგორც ყოფილი ნაცვალი, პოლიტიკურ მომუშავეთ პოლიტ...ნის განკარგულებით პირველად ვმუშაობდი ტფილისის მცველ მხლებელთა ათასეულში; რამდენიმე ხნის შემდეგ გადამიყვანეს ფოთში მცველ მხლებელთა რაზმში. აქ გაიხსნა სამკითხველო და მე დავინიშნე სამკითხველოს გამგეთ. ამ თანამდებობას პირნათლად ვასრულებდი თვის ხელის განმავლობაში, რასაც დაამოწმებს ჩვენი ნაწილის ყველა თანამშრომელი. მოულოდნელად ამისა ყველასათვის მოულოდნელად, ცენტრიდან ჩემს თანამდებობაზე დაინიშნა უპარტიო ამხ. **ცხვიტარიძე**. მე პირადათ არა ვარ დაინტერესებული მეჭიროს ესა თუ ის თანამდებობა. ჩემი სურვილია მხოლოდ იქ ვიმუშაო საიდანაც უფრო მეტი სარგებლობის მოტანა შემეძლება მუშურ გლეხურ ხელისუფლებისათვის, მაგრამ მე ის მაინტერესებს, ვინ, თუ რამ გამოიწვია ეს შემთხვევა და რათ არის ჩემი პარტიულის დანიშვნა გადაყენების საქმე საიდუმლოებით მოცული. მე მოვითხოვ მიექცეს ყურადღება ამ გარემოებას ვისკანაც ჯერ არის და გამოაშკარავებული იქნეს მიზეზი ჩემი დათხოვნისა და ჩემს მაგიერ სხვის დანიშვნისა.

პოლიტ მომუშავე **ვ. სანიკიძე**

## გასამართლება.

ა. წ. 4 იანვ. რესპუბლიკის მცველ მხლებელთა რაზმების სანდრო მახარაძის სახელობის კლუბში დადგმული იქნა 1 მოქმედ. ინსცენიროვკა „წითელ ყაზარმაში" წარმოდგენის შემდეგ მოხდა გასამართლება ე. ნინოშვილის ნაწარმოების „ქრისტინესი" შინაარსი ნაწარმოების აუხსნა წითელ-არმიელებს ლიტერატურული წრის ხელმძღვანელმა ამხ. ჭანიშვილმა. ბრალდებლის როლში გამოვიდა ამხ. კაჭარავა, ხოლო დამცველის როლში ამხ, ტერ-გრიქუროვი. გასამართლების დაწყებამდე ამორჩეული იქმნა მსაჯულები ხუთი კაცისაგან 1) ბრიგადის უფროსი ამხ. ბერაძე. წითელი არმიელებიდან 2) ქორიძე 3) მაჩიტაძე 4) სულთანიშვილი და 5) მიქელაშვილი, დაიწყო გასამართლება. პირველი სიტყვა სიტყვა ბრალმდებელმა შემდეგ დამცველმა. მონაწილეობა მიიღეს წითელ-არმიელების უმრავლესობამ იყო შეკითხვები როგორც ქრისტინაზე ისე იასონზე. ხანგრძლივი კამათის შემდეგ თავმჯდომარემ კამათი შესწყვიტა და სასამართლო წევრების გავიდენ განაჩენის გამოსატანათ. გამოტანილი იქნა შემდეგი. მოისმინა რა სასამართლომ ბრალმდებლის და დამცველის მოხსენებები დაადგინა: ქრისტინე იქმნეს გამართლებული და ყოვლად გახრწნილს იასონს ჩამოერთვას ყოველივე საკუთრება მოძრავი და უძრავი ქონება და გადაეცეს სოფლის გლეხებს, თვითონ კი გაძევებული იქნას ამ სოფლიდან.

სამხკორი: **მაჩიტაძე.**

# კულტურული მუშაობა

## წითელი დროშა.

ამ ერთ თვის წინეთ 1-ლ ც. ა. კ. ლეგიონში დაარსებულ იქმნა კედლის გაზეთი „წითელი დროშა". ამხ. ერთაწმინდელის ენერგიული მუშაობით გამოვიდა გაზეთის მეოთხე ნომერი. რომელშიც სხვათა შორის მონაწილეობდა წითელ მოლაშქრეებს და უფ-შემადგენლობას შემოიკრიბონ მის გარშემო რათა გაზეთი გახდეს შინარსიანი და ღირსეულათ შეასრულოს თავისი დანიშნულება.

**გაზეთები კარგათ ნაწილდებიან.**

ც. ა. კ 1-ლ ლეგიონის ბიბლიოთეკის მუშაობა თან და თან იწყობა, ამხ ქავთარაძის ხელმძღვანელობით შეძენილ იქმნა ყველა საჭირო სახელმძღვანელოები. ყოველდღიურათ მოგვდის საკმაოდ ჟურნალ გაზეთები, რომლებიც წესიერათ ნაწილდებიან ლეგიონის ნაწილებში. წიგნთ საცავ მუშაობის თავის დონეზე დასაყენებლად დიდი ყურადღება მიაქცია ჩვენმა სამხკომმა ამხ. ენუქიძემ—მისი განკარგულებით ლეგიონის ყველა ნაწილების წიგნთ საცავებისათვის კეთდება შკაფები, მაგიდები სკამები და სხვა საჭირო ნივთები.

**ფიცსა სდებენ.**

ორშაბათს 26 დეკემბერს წითელ არმიელებს ღრმა დაკვირვებით წაეკითხათ გაზ. „წითელ არმიელში" მოთავსებული წერილები მათი მოვალეობის შესახებ, რომლებიც აღფრთოვანებით შეხვდენ ასეთ მიწოდებას გაზეთ „წითელ არმიელის" და პოლიტგანყოფილებისას. ამ დღის პოლიტ-საათის ნახევარი დრო მის გარშემო შეკითხვებს მოანდომეს. გაიცნენ რა მათ მოვალეობას, ფიცსა სდებენ, რომ მთელი თავიანთი ძალღონით ცოდნა გამოცდილებით შეუდგებიან სამეურნეო და ყოველგვარ სასოფლო საქმიანობას ფრონტის განმტკიცებას. ამასთანავე დასძინეს, თუ საჭიროება მოითხოვს მყისვე დაუბრუნდენ წითელ ლაშქარს საბჭოთა მთავრობის დასაცავად.

**ს. ცომაია.**




## ტანკებისა და ტყვიამფრქვევის დახმარება.

1916 წელს ფრანგები ხშირად ცდილობდნენ შეტევა ეწარმოებინათ თავის მოიერიშე ფეხოსანი ჯარით მომგერიებლის არტილერიის წინასწარ დაუძლეველად და სახელდობრ იმით, რომ იერიშს აწარმოებდენ მოულოდნელ ალაგას და დროს. ტანკების რამოდენიმე რიგი ერთი მეორესაგან მცირე გადამიჯვნით მიდიოდნენ, თავის მსვლელობაში იფარავდენ ფეხოსან ჯარის მსვლელობას და ერთდროულად მიზნად ისახავდენ გერმანელების მთელი ყურადღება და მისი ცეცხლის სიძლიერე იმდენათ მიექციათ თავისზედ, რომ მოიერიშე ფეხოსან ჯარს, ამ ჯავშნოსნების დაფარვით, შესძლებოდა არამც თუ მტერს დაახლოვებოდა და მცირე ზიანით, არამედ გაერღვია კიდეც მისი ხაზი და გადაელახა მტერი. ხშირად იერიში იფარებოდა კვამლით, რითაც იგი მოწინაამდეგეს თვალებს უხვევდა, და მის წინ რა ხდებოდა ვერ ხედავდა ამ გვარი იერიშის საშუალებით ფრანგებმა რამდენჯერმე გაიმარჯვეს ფეხოსან ჯარის ბრძოლის საერთო საშუალებაზედ აგრეთვე დიდი გავლენა იქონია იმ გარემოებამ, რომ ტყვიამფრქვევი ფეხოსან ჯარის უმთავრეს იარაღათ გადაიქცა. მოგერიების მოთხოვნილება, მართალია. თავში საჭიროებდა მძიმე ტიპის ტყვიამფრქვევების გამრავლებას, მხოლოდ შემდეგ რათა იერიში შემსუბუქებულიყო, შემოღებული იქმნა მსუბუქი ტყვიამფრქვევები, რომელნიც მსროლელთა სუსტ მწკრივებსაც კი აძლევენ მნიშვნელოვანი ძალის ცეცხლის განვითარების შეძლებას, თუ კი თავის დროზე იქნება მიწოდებული ვაზნათა საჭირო რიცხვი. სუბუქი ტყვიამფრქვევები მოგერიებისათვის ერთი კიდევ იმით არიან კარგნი, რომ სრულიად არ არიან დამოკიდებულნი ადგილ მდებარეობისაგან და იძლევიან სწრაფ ცეცხლის გაძლიერებას გადამწყვეტ ადგილებში, ამავე დროს, ჯარში გამრავლებული იქმნა მძიმე ტყვიამფრქვევთა რიცხვიც, რომელნიც განსაკუთრებით. მოგერიებისას წარმოადგენს ცეცხლის ძალის არსებით გაძლიერებას და გაუფრთხილებელ მოიერიშებს შეუძლიან ამ ტყვია მფრქვევმა მიაყენოს დიდი ზიანი.

**გ. ბ.**

## 23 წელს

ბორბლები ამოძრავდნენ... მანქანები ლხინობენ—
ახალ წელს გვილოცავენ მოსრიალე ღვედები—
ო, არ შედრკეთ გმირებო, გავიმარჯვებთ იცოდეთ..
ამბობენ და კრებიან მასთან გულის დარდები.—

ვერჰანს მკვდრეთით აღდგენილს ეს არის ვეგებებით
ახალ გაზრდილ სიცოცხლით ახალგაზრდულ ჰენებით
ჩვენი სული მებრძოლი ჯერ ვერ დაიპანაკებს—
ჩვენი გრძნობა სპეტაკი მთელ მსოფლიოს განაგებს—

ბორბლები ამოძრავდნენ.., სრიალებენ ღვედები
ახალ წელს გვილოცავენ საოცნებო ჰანგები
შეიმოსა კოსმოსი მოელვარე ფერებით—
23-წელს გილოცავთ ძმებო, წითელ ვარდებით.—

**ვ. ბესოშვილი.**

# თანამედროვე ავიაცია.

ეხლახან დასავლეთიდან მიღებული ცნობები ჩვენ გვიხატავენ თანამედროვე ავიაციის სურათს, რომლის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ჰაერის სტიქის დამორჩილება შეიძლება ჩაითვალოს დამთავრებულ საქმეთ.

ომმა მისცა ავიაციას გიგანტური წინმსვლელობა. ომის დამთავრების შემდეგ ყველა საავიაციო გამოცდილება სასწრაფო მიმართულ იქმნა მშვიდობიანი მიზნებისაკენ.

გაკეთებულ იქმნა ახალი საზლაპრო „რეკორდები".

1919 წელს ამერიკელი. რედ გადაფრინდა ატლანტიის ოკეანეზე ერთი დასვენებით აზორის კუნძულებზე.

შემოდგომაზე 1919 წ. ინგლისელმა ვილკოკმა გადაფრინდა იმავე ოკეანზე კუნძულ ნიუფაუნდლენდიდან ირლანდიაში, რომელმაც გაიარა 3.141 კილომეტრი 16 საათისა და 27 წამის განმავლობაში. მეორე მფრინავმა სერ როსს სმიტმა გადაფრინდა სამი მგზავრით ლონდონიდან ავსტრალიაში. ეს არაჩვეულებრივი მგზავრობა 18.182 კილომეტრის სიგრძეზე სწორ ადგილებზე, მთა-გორებზე, უდაბნოებზე, ზღვებსა და ოკეანეებზე, სხვა და სხვა გვარი ჰავით, თხოულობდა მფრინავებისაგან 10 დეკემბრამდე 1919 წ. ე. ი. 28 დღეს ჰაეროპლანს არც ერთხელ არ დასჭირვებია სერიოზული შეკეთება. ის იყო ვიკერს-ვიმის სისტემისა ორი მამოძრავებელით თითო, 350 ცხენის ძალით

1920 წ. იქმნა აღნიშნული საქვეყნო რეკორდები, რომელიც ფრინავდენ 200 კილომეტრის სისწრაფით საათში 10.512 მეტრის სიმაღლეზე ასვლით, 24 საათი და 10 წამი შეუჩერებელი ფრენით:

იმავე წელში იქმნა გაკეთებული ბლერიოს სისტემის ჰაეროპლანი ოთხი 300 ცხენი ძალის მქონე მამოძრავებით, რომელიც იტევდა 28 კაცს და ვიკერსის ბიპლანი 600 ცხენის ძალის მქონე 8 მამოძრავებელით 45 კაცისათვის. ეხლა კეთდება ჰაეროპლანი, რომელმაც უნდა დაიტიოს 500 კაცი.

თანამედროვე ჰაეროპლანი გარეგნულად სრულებით არა ჰგავს იმ ბლერიოებს და ფარმანებს და სხვა., რომელნიც ჩვენ გვინახავს წინად. თანამედროვე ჰაეროპლანი 10-ჯერ აღემატება სიდიდით თავის წინამორბედებს. ფრთები წარმოადგენენ არა სიფრიფანა მოხრილ ჩარჩოებს მასზე გაჭიმული ტილოთი, არამედ გაკეთებულია სიფრიფანა ფოლადით და ალუმინისებური ზედაპირით. ამ ფრთების შიგნით არის განყოფილება გამოძრავებლების მოსათავსებლად, არის კორრიდორები ერთი სამანქანო განყოფილებიდან მეორეში მასასვლელად და კიბეები ზევითა და ქვეითა ზედაპირებზე გადასასვლელი.

(შემდეგი იქნება)




საკვირველია
ერთი ამბავი!
(„ხატებს ეთხრება ?
ყველგან საფლავი!..)

და ძველ სამხედრო
ეკლესიების
საჩქაროდ სდება
ყველგან სიები

რათა კლუბებად
გადააკეთონ
და მშრომელთ საქმე
აქაც აკეთონ.

ვთხოვთ ბებერ ღმერთსა
ყველას შეუნდოს,
და ამ საქმისთვის
არვინ შეხუნდოს.

ამ საქმის მქნელი
ოდეს მოკვდება!

იქ, საიქიოს
თუ კი მოხვდება

ვთხოვთ, ჯოჯოხეთში,
რომ არ ჩააგდოს,
და არც სამოთხის
კართან დააგდოს.

ორივე მათთვის
დაგვილოცნია!
(მღვდლებს ხომ ჯერ ჩვენთვის
არ ულოცნიათ?!)

კურთხეულ იყოს
მათი სახელი,
ვინც საიქიოს
არის მნახველი!

მარა... სამოთხე
ჩვენ გვინდა აქა.
არ გვსურს სიბნელის
ჩვენს შუბლზე ლაქა!..

**დაშნა**

**დაიკარგე** პირადობის მოწმობა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მოცემული. ჩაითვალოს გაუქმებულათ. ეკონომიურ დარგის სტუდენტი მიხეილ ივანეს-ძე თავართქილაძე.


ტირაჟი 1.500
პასუხისმგებელი რედაქტორი პ. ქუთათელაძე